ხელოვნური ინტელექტის (AI) პერიპეტიებთან

PMO
Business Consulting

ხელოვნური ინტელექტის (AI) პერიპეტიებთან

ავტორი: ია იაკობაშვილი

სულ რაღაც 100 წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ 1956 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის სემინარზე პირველად გაჟღერებული ტერმინი - ხელოვნური ინტელექტი (AI), თანამედროვე ინდუსტრიული ტექნოლოგიების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. ხელოვნური ინტელექტი ერთგვარი პროგრამაა, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად მიუახლოვოს თავისი ალგორითმი ადამიანის შესაძლებლობებს და იაზროვნოს ჩვენ მსგავსად. რადგან ის ადამიანის ტვინის ანალოგზეა დაფუძნებული, ხელოვნური ინტელექტი სხვა სამეცნიერო დარგებს ეყრდნობა, იქნება ეს ბიოლოგია, ფსიქოლოგია თუ მათემატიკა.

არსებობს ხელოვნური ინტელექტის კლასიფიკაციის ორი ძირითადი ფორმა:

პირველ მათგანს ვიწრო სპეციალიზაციის ხელოვნურ ინტელექტს უწოდებენ, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად ვიყენებთ. ამის მაგალითია ამინდის პროგნოზის აპლიკაციები, ციფრული ასისტენტები, რომლებიც ჩვენ მიერ ატვირთული მონაცემების ანალიზში გვეხმარება.

მეორე მათგანია ე.წ. „ზოგადი ხელოვნური ინტელექტი“, რომელსაც ყველაზე ხშირად სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმებში ვხვდებით. ამ ტიპის ხელოვნური ინტელექტი ბაძავს ადამიანს, ფიქრობს სტრატეგიულად და კრეატიულად, შეუძლია გადაჭრას სხვადასხვა სირთულის პრობლემები. თუმცა ეს ფენომენი ადამიანის შესაძლებლობების შემავსებლად უფრო გვევლინება, ვიდრე ჩამნაცვლებლად, რადგან ციფრული ეკრანის გარეშე ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები უბრალოდ არ არსებობს.

ხელოვნური ინტელექტი და ორგანიზაციები

ინოვაციებისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების რეალიზების ერაში, ხელოვნური ინტელექტი კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებისთვის პოტენციური სარგებლის მომტან მექანიზმად გადაიქცა.

შრომის ავტომატიზაციას ორგანიზაციებში შეუძლია ხარჯების შემცირება, დროისა და ადამიანური რესურსების დაზოგვა, შრომის ეფექტიანობის გაზრდა. რადგან ხელოვნურ ინტელექტს ღრმა ანალიტიკური უნარი აქვს, იზრდება თანამშრომლების მიერ ზუსტი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა. სწორედ ამიტომ, უფროსი აღმასრულებელი რგოლის მენეჯერთა 84% ფიქრობს, რომ თუ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში არ გაზრდიან ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მასშტაბებს ორგანიზაციაში, ისინი ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ორგანიზაციებს კონკურენციას ვეღარ გაუწევენ და ბიზნესიდან გამოთიშვის საფრთხის წინაშე დადგებიან.

ხელოვნური ინტელექტის მომავალი

სამომავლოდ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უამრავი გზა არსებობს. რაზე ფოკუსირდებიან ორგანიზაციები და რა მიზნების მისაღწევად გამოიყენებენ მას, თავად ორგანიზაციის ღირებულებებსა და ხედვებზეა დამოკიდებული. ადრე არსებული შიშები რომ ხელოვნური ინტელექტი ავტომატიზაციას და სამუშაო ადგილების გაქრობას გამოიწვევდა, არასწორი აღმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ შრომის ავტომატიზაცია აერთიანებს ადამიანების და ტექნოლოგიების შესაძლებლობებს და პრობლემების გადაწყვეტის ახლებურ გზებს გვთავაზობს.

მაღალი მენეჯერული რგოლის დამოკიდებულება ხელოვნური ინტელექტის მიმართ :



წყარო: accenture.com

ხელოვნური ინტელექტი და ეთიკა

შეუძლებელია ვახსენოთ ხელოვნური ინტელექტი და გვერდი ავუაროთ ეთიკურ საკითხებს. საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების პარალელურად ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოსაყენებლად საჭიროა ნათლად ფორმულირებული ეთიკური სტანდარტების გათვალისწინება ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის შექმნისას. მნიშვნელოვანია მკაფიო მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, რაც ეთიკის კოდექსის განვითარებისა და საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პერსონალური მონაცემების გამოყენების საკითხი - ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ კონფიდენციალურობის, გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ხელოვნური ინტელექტით მართულ პროგრამებში და დარწმუნდნენ, რომ მონაცემები მოპოვებული და გამოყენებულია პასუხისმგებლიანი გზით.

www.pmo-bc.com
(+995 32) 2 37 73 07
რაფიელ ერისთავის ქ.16
თბილისი, 0179, საქართველო

[1]PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

[1] მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com